საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/21

08 02 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ *გიორგი ბერიძეს*

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 7 თებერვლის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განიხილა ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი და მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნას;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 7 თებერვლის №11 სხდომის ოქმის ამონაწერს.

გთხოვთ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 3- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

№ 09-01-08/18
08 02 2017
3 ფურცელი

№ 09-02-11/109
1 3
08 02 2017

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ლევან ვარშალომიძეს ვადამდე შეუწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბაქვი,
2017 წლის
№

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/21

08 02 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 8 თებერვლის სხდომაზე განიხილა, ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ლევან ვარშალომიძის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე 2017 წლის 27 იანვარს წარდგენილი განცხადების (№09-02-11/284) ნამდვილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლევან ვარშალომიძეს ვადამდე შეუწყდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 8 თებერვლის №11 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინოს კომისიის დასკვნა, ხოლო უმაღლეს საბჭოს – დადგენილების პროექტი - „ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია